

Richard Bach
Jonathan Livingston Seagull
Translated into Georgian and design by David Akriani

© 1970 by Richard D. Bach and Leslie Parrish-Bach

© Nectar Publishing

ISBN 99928-0-776-8

რიჩარდ ბახი

თოლია ჯონათან ლივინგსტონი

ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანი

ნამდვილ თოლია ჯონათანს,
თითოეულ ჩვენგანში მცხოვრებს.

ავტორი

ნაწილი პირველი

დილა იყო და ახლადამოწვერილი მზე ოქროს აფრქვევდა წყნარად აჭავლებულ ზღვას.

ნაპირიდან ერთი მილის მოშორებით თევზსარეწი გემი წყალზე ირწეოდა, როცა ჰაერი საუზმის გუნდის შესახებ ნათქვამმა სიტყვამ შეარხია. ამას მალევე მოჰყვა ასეულობით თოლია, რომლებიც ერთმანეთში აირივნენ საჭმლის ნარჩენებისათვის ჭიდილში. ახალი დღე იწყებოდა.

მაგრამ გემისა და ნაპირისაგან მოშორებული ჯონათან ლივინგსტონი განმარტოებით ვარჯიშობდა. აი, წყლიდან ასიოდე ფუტის სიმაღლეზე ასულმა, აპკოვანი ფეხები ძირს ჩამოწია, ნისკარტი ზემოთ აიშვირა და დიდი დამაბვიტ ცადა მტკივნეულად რთული ვირაჟის გაკეთება. ვირაჟი ნიშნავდა, რომ ნელა უნდა ეფრინა... და ასეც მოიქცა, ვიდრე ჰაერი სიოდ არ მიელამუნა სახეზე და ოკვანე უმოძრაოდ არ შეჩერდა მის ქვემოთ. თვალეზი დამაბულად მოჭუტა, სუნთქვა შეიკრა და ცადა კიდევ... ერთ... ინჩზე... გაემლო... შემდეგ კი ბუმბული აეშალა, ჰაერში გაჩერდა და ჩამოვარდა.

მაგრამ თოლია ჯონათან ლივინგსტონი, რომელმაც ყოველგვარი დარცხვენის გარეშე ისევ გაშალა ფრთები და ისევ იმ მტკივნეული ვირაჟის გაკეთებას შეუდგა, - შეანელა, შეანელა და ისევ შეჩერდა, - ჩვეულებრივი თოლია არ გახლდათ.

თოლიების უმრავლესობა თავს არ იწუხებს იმით, რომ ფრენის ელემენტარულ წესებზე მეტი რამ ისწავლოს, - მხოლოდ იმდენი, რამდენიც ნაპირიდან გაფრენასა და საკვების შოვნას ეყოფა. მათთვის მთავარი ხომ ფრენა კი არა, საჭმელის შოვნაა.

თოლია ჯონათან ლივინგსტონს კი ყველაზე მეტად ფრენა უყვარდა. თუმცა ასეთი ხასიათი, როგორც თვითონვე მიხვდა, სულ არ ხდიდა პოპულარულს სხვა თოლიების თვალში. თვით მისი მშობლებიც კი შეაშფოთა იმ ამბავმა, რომ ჯონათანი მთელ დღეებს მარტოობაში ატარებდა და ასობით დაბალ გაფრენას ახორციელებდა.

ვერ იტყოდა, რატომ, მაგრამ როდესაც ზედ წყლის თავზე მისრიალებდა, როცა ზღვის ზედაპირს ნახევარი ფრთის მოქნევად აშორებდა, მაშინ ჰაერში უფრო დიდხანს ჩერდებოდა, თანაც - ნაკლები ძალისხმევით. ეს გაფრენებიც ფეხების წყალში ჩადგაფუნებით კი არ მთავრდებოდა, როგორც თოლიებს სჩვევიათ, არამედ ხანგრძლივი კილვატერით, როცა ბოლოს და ბოლოს, წყალს სხეულზე მჭიდროდ მისალტული ფეხებით შეეხებოდა. როცა ჯონათანმა ნაპირზეც ფეხებაკეცილმა დაიწყო გასრიალებით დაჯდომა, შემდეგ კი - ქვიშაზე დატოვებული კვალის ნაბიჯებით გაზომვა, მშობლები მართლა ძალიან დაშინდნენ.

- რატომ, ჯონ, რატომ? - ჰკითხა დედამ, - რატომ არის ასე ძნელი, რომ სხვა თანაგუნდელებით იცხოვრო? რატომ არ დაანებებ თავს პელიკანებთან და ალბატროსებთან ფრენას? ჰამით მაინც არ ჰამ? ძვლები და ბუმბულია ხარ, შვილო!

- დიდი აზრები: ძვლები და ბუმბული, დე. მე მხოლოდ იმის გაგება მსურს, რისი გაკეთება შემიძლია ჰაერში და რისი არა. სულ ესაა. მე მხოლოდ ამის ცოდნა მსურს.

- მოიხედე, ჯონათან, - უთხრა მამამ არცთუ ბრაზიანად, - ზამთარი შორს აღარ არის და წყლის ზედაპირთან მცურავი თევზი მალე ღრმად ჩაყვინთავს. თუ სწავლას აპირებ, მაშინ საკვები და მისი მოპოვება შეისწავლე. გაფრენ-გამოფრენა კარგია, მაგრამ მაგით კუჭს ვერ დაიოკებ. არ დაგავიწყდეს, რომ შენი ფრენის მიზანი ჭამაა.

ჯონათანმა მამას მორჩილად დაუკრა თავი. რამდენიმე მომდევნო დღის მანძილზე შეეცადა სხვა თოლიებივით ეცხოვრა. მართლა შეეცადა: ჭყიოდა და გუნდთან ერთად პირსებს და თევზსარეწ გემებს დასტრიალებდა, თევზის და პურის ნაფლეთებისთვის წყალში ყვინთავდა... მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

„რა უაზრობაა, - ფიქრობდა ჯონათანი, - როცა შეგნებულად ვაგდებ ნისკარტიდან ძნელად მოსაპოვებელ ქამას, რათა ჩემს მდევარ რომელიმე მოხუც თოლიას დავუტოვო! შემეძლო, მთელი ეს დრო ფრენის სწავლაში გამეტარებინა. კიდევ რამდენი რამეა სასწავლი!“

ცოტა ხნის შემდეგ ჯონათანი ისევ მარტო იყო ზღვაში, ნაპირებიდან შორს, მშერი, ბედნიერი და სწავლას დაწაფებული.

ამჯერად საქმე სისწრაფეს ეხებოდა და ჯონათანიც ერთ კვირაში უფრო მეტად გაერკვა ამ საკითხში, ვიდრე ცოცხალ თოლიათაგან უსწრაფესი.

ფრთების გამაღებელი ფართქუნითა და საშინელი სისწრაფით, ჯონათანი შვეულად ეშვებოდა ტალღებისაკენ ათასი ფუტის სიმალიდან და მიხვდა, თუ რატომ ვერ ბრწყინავდნენ თოლიები ასეთი ვარდნისას. სულ ექვსი წამის მანძილზე შეეძლო საათში სამოცდაათი მილის სისწრაფით ფრენა: ამ სიჩქარეზე ზემოთ აშვერილი ფრთა მდგრადობას კარგავს.

ასეც ხდებოდა დროდადრო. მთელი სიფრთხილის მიუხედავად, საკუთარი შეძლების ზღვარზე მუშაობდა და მაღალ სისწრაფეზე კონტროლს კარგავდა.

ათასი ფუტის სიმაღლეზე ასვლა, მთელი ძალით წინ გაქანება, შემდეგ - ამოტრიალება, ფრთების გაფართოება და შვეული ჩახსტომა. და ამ დროს, ყოველ ჯერზე, მისი მარცხენა ფრთა ზემოთ აშვერილი რჩებოდა, რის გამოც ჯერ მძლავრად გადაქანდებოდა მარცხნივ, შემდეგ მარჯვენა ფრთას ასწორებდა და აგიზგიზებულ ცეცხლივით მარჯვნივ გადაფართოვდებოდა.

ამ ყველაფერს საკმარისად ფრთხილად ვერ შვრებოდა. ათეზის ცადა საათში სამოცდაათი მილის სისწრაფით დაშვებისას, - ათივეჯერ ბუმბულის ნაღმად აფეთქდა და ტალღებს დაასკდა.

„დიდ სისწრაფეზე, ალბათ, ჯობია ფრთები უძრავად გავაშეშო, - საათში ორმოცდაათი მილამდე ავიდე და მერე გავაშეშო“, - იფიქრა ბოლოს ერთიანად გალუმპულმა.

ერთხელ კიდევ ცადა ორასი მეტრის სიმალიდან: ნისკარტგამართული დაეშვა, ფრთები კი ტანზე მიიკრა და, საათში ორმოცდაათი მილამდე ასვლის შემდეგ, აღარ გაუნძრევია. ამან საშინელი ძალისხმევა მოითხოვა, თუმცა შედეგიც გამოიღო. ათიოდ წამში უკვე ოთხმოცდაათი მილის სისწრაფით ვარდებოდა. ჯონათანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა თოლიების ფრენაში!

მაგრამ გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. იმ მომენტში, როცა პიკირებიდან გამოსვლა დაიწყო და ფრთების კუთხე შეეცალა - ისევ დაკარგა კონტროლი და საათში ოთხმოცდაათი მილის სისწრაფეზე დინამიტივით „გაიბრდღვნა“. შუა ჰაერში აფეთქებული ჯონათან ლივინგსტონი შურდულივით დაასკდა ქვასავით მაგარ ზღვას.

ამ მომენტისათვის უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო და ჯონათანიც მთვარით განათებულ ოკეანეზე ტივტივებდა. ფრთები ტყვიის დაფლეთილი ბერკეტებივით ეკიდა, თუმცა ზურგი კიდევ უარესად დამძიმებოდა. დაუძლურებულმა ისღა ისურვა, ნეტავ საკმარისად დავმძიმდე, რათა ნელ-ნელა ფსკერისკენ წავიდე და ყველაფერი ამით დასრულდესო.

ის იყო წყალში ჩაყვინთა, რომ მის გონებაში თუ სხეულში უცნაური და ყრუ ხმა აჟღერდა: „ამას ვერსად წავუვალ. მე თოლია ვარ. მე დასაზღვრული ვარ თვით ჩემი ბუნებით. ფრენის შესახებ ამდენი რამის გასაგებად რომ ვიყო შექმნილი, მაშინ სამოდრო რუკაც მექნება ტვინში. სწრაფი ფრენისათვის რომ გავეჩინეთ, შვარდენის მოკლე ფრთები მექნება და, თევზის ნაცვლად, თავგებით ვიარსებებდი. მართალს ამბობდა მამაჩემი: უნდა დავივიწყო ეს სისულელე, გუნდს უნდა დავუბრუნდე და იმით დავკმაყოფილდე, რომ ერთი საბრალო, ბევრი არაფრის მცოდნე თოლია ვარ“.

ხმა მიჩუმდა. ჯონათანი ყველაფერში დაეთანხმა. ღამით თოლიას ადგილი ნაპირზეა და მანაც დაიფიცა, ამიერიდან ნორმალურ თოლიად ვიქცევი, ეს ხომ ჩემ ირგვლივ ყველას გაუხარდებაო.

ღამეულ ზღვას დაღლილი მოძრაობით მოსწყდა და გეზი ნაპირისკენ აიღო, თან მაღლიერებას გრძნობდა იმ ყველაფერის გამო, რაც დაბალ სიმაღლეზე ძალების დამზოგი ფრენის შესახებ შეისწავლა.

„ჰო, - გაიფიქრა ჯონათანმა, - დამთავრდა ის ყველაფერი. მეყოფა, რაც ვისწავლე. მეც ისეთივე თოლია ვარ, როგორც ყველა დანარჩენი, და ამიერიდან მათსავით ვიფრენ.“

ჯონათანი მძიმე-მძიმედ ავიდა ასიოდე ფუტის სიმაღლეზე და იქ ფრთები უფრო ძალუმად დაიქნია, ვინძლო სწრაფად გაეღწია ნაპირზე.

როგორც კი გადაწყვიტა - გუნდის ყველა სხვა წევრით ვიცხოვრებო, თავი უკეთ იგრძნო. ახლა უკვე ვეღარაფერი აიძულებს კიდევ ისწავლოს რაღაცეები, ამერიიდან აღარც საკუთარ თავს გამოიწვევს და აღარც დამარცხებას იწვნევს. რა საამური იყო ფიქრის შეწყვეტა და ფრენა სიბნელეში, ნაპირზე მოციმციმე სინათლეებისკენ.

„სიბნელე! - განგაშით გაიჟღერა ყრუ ხმამ, - თოლიები არასოდეს ფრენენ სიბნელეში!“

ჯონათანი ყურს დიდად არ უგდებდა. წყალში მთვარე და ნაპირის სინათლეები ირეკლებოდა და პაწია შუქურ-კვალეზად ციმციმებდა ღამეში... ყველაფერი იყო ესოდენ მშვიდი და აუღელვებელი...

„დაეშვი! თოლიები ღამით არ ფრენენ! შენ რომ ღამით საფრენად გაეჩინეთ, ჭოტის თვალეზსაც გამოგაყოლებენ! სამოდრაო რუკაც გექნებოდა, შავარდნის მოკლე ფრთებიც!“

იქ, ღამეში, ზღვიდან ასი ფუტის სიმაღლეზე, თოლია ჯონათან ლივინგსტონი თვალეზს ახამხამებდა. მისი ტკივილი, გადაწყვეტილებები - ყველაფერი გაქრა.

მოკლე ფრთები! შავარდნის მოკლე ფრთები!

„აი პასუხი! რა ბრიყვი ვიყავი! მე მხოლოდ პატარა ფრთები მჭირდება, მხოლოდ ის, რომ ფრთები მთლიანად შევიკეცო და მხოლოდ წვერ-ბოლოები გამოვიშვირო! მოკლე ფრთები!“

მრუმე ზღვას ორი ათასი ფუტით აშორდა და ისე, რომ ერთხელაც კი არ გაუფიქრია მარცხსა და სიკვდილზე, მხარ-ფრთა მჭიდროდ მიიკრა სხეულზე, მხოლოდ პატარა, მახვილი წვეროებიდა გაიშვირა განზე და ქვემოთ დაქანდა.

ჰაერის ნაკადი საფეთქლებში ურტყამდა: სამოცდაათი მილი საათში... ორთხმოცდაათი... ასოცი და მეტი... ამჯერად, საათში ასორმოცი მილის სისწრაფით ფრენისას, ფრთები უფრო ნაკლებად დამაბზოდა, ვიდრე მანამდე ემაბებოდა ამის ნახევარ სისწრაფეზე. ფრთების გამოშვებული წვეროკინების უმცირესი მოძრაობით კი მექსეულად შეწყვიტა ვარდნა და ზედ ტალღების თავზე ავარდა ზემოთ - მთვარით მოვერცხლილი ტყვიასავით.

ჰაერის მძლავრმა გაკვეთამ თვალეზი მოუხუჭა: „ასორმოცი მილი საათში! ხუთი ათასი ფუტიდან რომ დავშვებულიყავი, ორის ნაცვლად, მაშინ რა სისწრაფით.....“

ერთი წუთის წინ დადებული აღთქმები დავიწყებას მიეცა, - ნისკარტით გასერილი ჰაერის უძლიერესმა ნაკადმა წაიღო. თუმცა დანაშაულის განცდა სულაც არ გასჩენია. ასეთ პირობებს მხოლოდ ის თოლიები დებენ, რომლებსთვისაც ჩვეულებრივი ცხოვრება მისაღებია. იმას კი, ვინც იმდენი ისწავლა, რომ სრულქმნილებას მისწვდა, ამნაირი აღთქმები არაფრად არგია.

მზის ამოსვლას ჯონათანი ისევ ვარჯიშით შეხვდა. ხუთი ათასი ფუტის სიმაღლიდან თევზსარეწი გემები წერტილებით მიმოფანტულიყვნენ ზღვის უნაოჭო სილურჯეზე, *საუზმის გუნდი* კი - მბრუნავი მტერის ნაწილაკების მკრთალი ღრუბელივით.

ჯონათანი ცოცხალი იყო, სიამოვნებისაგან თრთოდა და ეამაყებოდა, რომ შიში ვეღარ ჯაბნინდა. შემდეგ, ყოვლად უცერემონიოდ, მხარ-ფრთა აიტკიცა, ფრთების მახვილი წვეროები შემართა და პირდაპირ ზღვისკენ დაქანდა. ოთხი ათასი ფუტის ჩამთავრებისას სისწრაფის ზღვარს მიაღწია: ამ სიჩქარეზე ჰაერი ბგერის მკვრივ კედლად იქცა, რომელსაც უფრო სწრაფად ვეღარ გაარღვევდა. ახლა ის ზუსტად ვერტიკალურად მოჰქროდა, საათში ორასთოთხმეტი მილის სისწრაფით. სხეული გაჰბერვოდა, რაკი იცოდა, რომ ამ სიჩქარეზე ფრთების გაშლა და მთელი მისი სხეულის ნაფლეთებად ქცევა ერთი იქნებოდა. მაგრამ სისწრაფე ძალაა, სისწრაფე სიხარულია, სისწრაფე წმინდა მშვენიერებაა.

პიკირებიდან გამოსვლა ათასი ფუტის სიმაღლეზე დაიწყო. ფრთების გამოზნექილი წვერები ქარის უძლიერეს ნაკადში უტკაცუნებდა, მის მხერაში გემიცა და თოლიების გუნდიც მეტეორის სისწრაფით იცვლიდა რაკურსს და ახლოვდებოდა.

ჯონათანი ვეღარ ჩერდებოდა, - ჯერ არ იცოდა, როგორ შეჩერებულიყო.

შეჯახება მყისიერ სიკვდილს ნიშნავდა.

და მანაც თვალეზი დახუჭა.

ჰოდა, იმ დილას, ზუსტად მზის ამოსვლის შემდეგ მოხდა, რომ ჯონათან ლივინგსტონი პირდაპირ საუზმის გუნდში შეიჭრა საათში ორასთორმეტი მილის სისწრაფით, - თვალდახუჭული, ჰაერისა და ბუმბულის საშინელი მხუილით. ბედმა - ბედის თოლიამ - ამჯერად გაუღიმა და დაჯახებისგან არავინ დაღუპულა.

იმ მომენტში, როცა ნისკარტი ზემოთ ასწია, ჯერ კიდევ ასსამოცი მილით მოჰქროდა. როცა სიჩქარე საათში ოც მილამდე დაეცა და ჯონათანმა, ბოლოს და ბოლოს, ფრთები ისევ გაშალა, უკვე ოთხი ათას ფუტზე იყო. ქვემოთ დარჩენილი გემი წერტილივით მოჩანდა.

მისი გონება ტრიუმფს ზეიმობდა: ზღვრული სისწრაფე! თოლია, რომელმაც განავითარა *ორასთოთხმეტი მილი საათში!* ეს გარღვევა იყო, უდიდესი ინდივიდუალური მიღწევა გუნდის ისტორიაში. და ამ მომენტიდან ჯონათან ლივინგსტონისათვის ახალი ერა დაიწყო. კვლავ ყველასაგან მოშორებულ თავის სავარჯიშო სივრცეს დაუბრუნდა, რვა ათას ფუტ სიმაღლეზე ავიდა და ფრთები შეიკეცა: გადაწყვეტილი ჰქონდა გაეგო, როგორ ხდებოდა მოხვევა დიდი სისწრაფით ფრენისას.

აღმოჩნდა, რომ ფრთის წვერის ერთ ბუმბულს, ინჩის რაღაც ნაწილს, თავბრუდამხვევი სიჩქარით ვარდნიდან რბილ მრუდზე გამოყვანა ძალუძს, თუმცა, ვიდრე ამას გაიგებდა, ჯერ აღმოაჩინა, რომ ასეთი სისწრაფით მოძრაობისას ერთ ბუმბულზე მეტის განძრევა გასროლილი ტყვიასავით აზორიალებდა... და ჯონათანმაც დედამიწის ყველა თოლიაზე ადრე განვლო პილოტაჟის უმაღლესი კურსი.

იმ დღეს სიტყვაც არ უთქვამს სხვა თოლიებისთვის, - დადამებამდე ცდებს ატარებდა. აღმოაჩინა მარყუჭი, ნელი გადაბრუნება, წერტილოვანი ვარდნა, თოლიას „ჯიბე“, ჯაჭვური ბორბალი...

მთლად ჩამოხნელებულიყო, როცა ჯონათან ლივინგსტონი ნაპირზე მსხდომ გუნდს შეუერთდა. სასტიკად დაქანცულს, თავბრუ ესხმოდა. თუმცა ძირს დაშვებისას, სიამოვნებისაგან მარყუჭი შეკრა და მიწაზე დაჯდომამდე სულ ერთი წამით ადრე ფრთების ტკაცუნით ამოტრიალდა ჰაერში.

„ამას რომ გაიგებენ, - გაივლო ჯონათანმა, - ამ გარღვევის ამზავს, სიხარულით გაგიჟდებიან. კიდევ რამდენი რამისთვის ღირს, თურმე, ცხოვრება! იმის ნაცვლად, რომ სულ წინ და უკან ვიბოდიასოთ თევზსარეწ გემებზე, ახლა ცხოვრების მიზანი გაჩნდა! ახლა შეგვიძლია უმეცრებიდან გამოვიდეთ, შეგვიძლია დავინახოთ, რა სრულქმნილი, რა გონიერი, რა ოსტატობის მფლობელი ქმნილებები ვართ. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფლები! ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ფრენა!

მომავალი წლები იმედისმომცემად ციალ-კიალებდნენ.

ძირს დაშვებულ ჯონათანს თოლიების საბჭო შეკრებილი დახვდა. აშკარად მას ელოდნენ.

- ჯონათან ლივინგსტონ! შუაში გამოდი! - უხუცესის სიტყვები უკიდურესად ცერემონიულად ჟღერდა. შუაგულში დგომა ან დიდ სირცხვილს ნიშნავდა ან დიდ პატივს. პატივისათვის ცენტრში დგომა წილად ხვდა თოლიების გუნდის ყველა გამოჩენილ ლიდერს.

„რა თქმა უნდა, - გაიფიქრა ჯონათანმა, - ამ დილით საუზმის გუნდი გარღვევას ნახავდა. მაგრამ მე არავითარი პატივ-დიდება არ მინდა, მხოლოდ ის მსურს, რომ გავუზიარო, რაც გავიგე, ვუჩვენო, რა შესაძლებლობები ჰქონია თითოეულ ჩვენგანს.

და ჯონათანი წინ მიდგა.

- თოლია ჯონათან ლივინგსტონ! - წარმოთქვა უხუცესმა, - ცენტრში გამოდი! შენი თავი მოიჭერი თანაგუნდელი თოლიების თვალში!

თითქოს თავში რაღაც დაჰკრესო: ჯონათანს მუხლი მოეკვეთა, ბუმბული ტანზე უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა, ყურები აუგუგუნდა. ცენტრში დგომა სირცხვილისთვის? შეუძლებელია! გარღვევა?! მათ ეს არ ესმით! ისინი ცდებიან, ცდებიან!

- ...მისი უგუნურებისა და უპასუხისმგებლობისთვის, - ბუბუნებდა ხმა ცივად და ზვიადად, რომელმაც ხელჰყო თოლიების ოჯახის ღირსება და ტრადიცია...

შესარცხვენად ცენტრში გამოყვანა - თოლიების საზოგადოებიდან განდევნასა და შორეულ კლდეებში სიმარტოვეში გასახლებას ნიშნავდა.

- ერთხელაც, თოლია ჯონათან ლივინგსტონ, შენ მიხვდები, რომ უპასუხისმგებლობას ვერაფერი გამოისყიდის. ცხოვრება გაუგებარია და შეუცნობელი და, როგორც ჩანს, ჩვენ ამქვეყნად იმისათვის მოვედით, რომ ვჭამოთ და რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხოლოთ.

თოლია ვერასოდეს შეუბრუნებდა სიტყვას გუნდის საბჭოს. მაგრამ ჯონათანმა ხმა ამოიღო:

- უპასუხისმგებლობაო?! ძმებო! - შესძახა მან, - ვინ არის იმ თოლიაზე უფრო მეტად პასუხისმგებელი, რომელიც ეძებს და პოულობს ცხოვრების უფრო ამაღლებულ მიზანს? ათასობით წელი თევზის დევნაში გავატარეთ, ახლა კი, როგორც იქნა, სხვა მიზანი გავიჩინა: სწავლა, აღმოჩენა, თავისუფლება! მომეცით შანსი ჩემი აღმოჩენები გიჩვენოთ.

გინდ გუნდისათვის უთქვამს, გინდ ქვისათვის.

- ძმობა დამთავრებულია, - წაიმღერა მთელმა გუნდმა. ყველამ ერთად საზეიმოდ დაიყრუა ყური და საზეიმოდ აქცია ზურგი თოლია ჯონათან ლივინგსტონს.

ამიერიდან ცხოვრებას იგი მარტოობაში ატარებდა. ისე კი, შორეულ კლდეებზე არ დარჩენილა, - უფრო შორს წავიდა. იმდენად მარტოობა კი არ ტანჯავდა, არამედ ის, რომ სხვა თოლიებმა არ ირწმუნეს ფრენის დიდება, რომელიც მათ ელოდათ; თვალების გაღება და დანახვა არ მოისურვეს.

ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობდა. მაგალითად, გაიგო, რომ სწრაფი ჩაყვინთვით შეეძლო ჩასწვდომოდა ერთ იშვიათ, გემრიელ, ოკეანის ზედაპირიდან ათი ფუტის სიღრმეზე მცურავ თევზს. ამიერიდან თავის სარჩენად თევზსარეწი გემები და გამხმარი პური აღარ სჭირდებოდა. ისწავლა, როგორ დაეძინა ჰაერში, როცა ნაპირიდან ღამით დაბერილ ქარს ასეულობით მილზე გადაჰყავდა დაისიდან განთიადამდე. იგივე შინაგანი კონტროლის წყალობით ახერხებდა ზღვის მძიმე ბურუსის გარღვევას და მოწკრიანულ ცამდე ასვლას... და ეს მაშინ, როცა ყველა სხვა

თოლია მიჯაჭვულივით იდგა მიწაზე ნისლსა და წვიმაში. ჯონათანმა ისიც ისწავლა, თუ როგორ შეჰყოლოდა ხმელეთისაკენ მქროლ ბრიზებს იმისათვის, რომ იქ მცხოვრები გემრიელი მწერებით ესადილა.

ის, რისი მოპოვების იმედიც უწინ მთელი გუნდისთვის ჰქონდა, ახლა მხოლოდ თავისთვის მოიპოვა. მან ფრენა ისწავლა და არ ეძვირებოდა ფასი, რადაც ეს დაუჯდა. თოლია ჯონათანმა აღმოაჩინა, რომ მოწყენილობა, შიში და რისხვა არის ის მიზეზები, რომელთა გამო თოლიას ცხოვრება ასე ხანმოკლეა. და რაკი ეს ყველაფერი მან თავისი თავიდან განდევნა, ამიტომაც იცხოვრა ხანგრძლივი, მშვენიერი ცხოვრებით.

ისინი საღამოს მოვიდნენ, როცა მარტოხელა ჯონათანი ლაღად დასრიალებდა თავის საყვარელ ცაში. ორი თოლია ამოუდგა ფრთებთან აქეთ-იქედან, ორივე ვარსკვლავის შუქივით წმინდა იყო, ორივე რბილად, მეგობრულად ასხივებდა ღამეულ სივრცეში. მაგრამ ყველაზე გულისგამღობ სანახაობას მაინც მათი ფრენის საოცარი ხელოვნება წარმოადგენდა: თითოეული მათგანის ფრთა ზუსტად და უცვლელად ერთი ინჩის დაშორებით მოჰყვებოდა ჯონათანის ფრთებს მარჯვნიდან და მარცხნიდან.

ჯონათანმა სტუმრებს უსიტყვოდ ჩაუტარა გამოცდა, არასოდეს რომ არ გაუვლია არცერთ თოლიას. ფრთები გაზნიქა და ფრენის სიჩქარე საათში ერთადერთ მილამდე შეანელა. ორმა მანათობელმა ფრინველმაც მასთან ერთად შეუნელა ფრენას, - რბილად, პოზიციის შეუცვლელად. მათ, როგორც ჩანდა, იცოდნენ ნელი ფრენის საიდუმლო.

ჯონათანმა ფრთები შეკეცა, ამოტრიალდა და საათში ასოთხმოცდაათი მილის სისწრაფით დაქანდა ქვევით. ისინი მეყსეულად ჩაჰყვნენ, უზადოდ ჩასხიპეს ღამეული სივრცე.

ბოლოს ჯონათანმა შვეულად ვარდნის სისწრაფე ზუსტ ვერტიკალზე ნელი აღმასვლით შეცვალა. ისინიც მიჰყვნენ, მომლიძარნი.

ჯონათანი უწინდებურად ჰორიზონტალურ ფრენაზე გადავიდა და, მცირე ხნის დუმილის შემდეგ, ხმა ამოიღო:

- ძალიან კარგი, ვინ ხართ?

- ჩვენ შენი გუნდიდან ვართ, ჯონათან, შენი ძმები ვართ, - ამ სიტყვებმა მშვიდად და მძლავრად გაიჟღერა, - მოვედით, რომ მალა, შინ წაგიყვანოთ.

- მე სახლი არ მაქვს. არც გუნდი მყავს. მე განკვეთილი ვარ. ახლა ჩვენ დიდი მთის ქარის თავზე მივფრინავთ. აქედან ჩემს მოხუც სხეულს სულ რამდენიმე ასეულ ფუტზედა თუ ავიტან.

- არა ჯონათან, შენ მეტი შეგიძლია: შენ ხომ ისწავლე. ერთი სკოლა დამთავრდა, ახლა მეორე სკოლის ჯერი დადგა.

როგორც აქამდე უნათებდა მთელი ცხოვრების მანძილზე, ახლაც ასე გამოუნათდა თოლია ჯონათანს გაგების სხივ-სინათლემ. ისინი მართალს ამბობდნენ: მას უფრო მალა აფრენა შეეძლო და თან შინ დაბრუნების დროც იყო.

ცას უკანასკნელად შეხედა, შეხედა იმ გასაოცარ ვერცხლისფერ ქვეყანას, სადაც მან ფრენა ისწავლა.

- მე მზად ვარ, - თქვა ბოლოს.

და თოლია ჯონათან ლივინგსტონი ვარსკვლავივით სხივოსან ორ თანამგზავრთან ერთად ზემოთ წავიდა და სრულქმნილი ცის მანათობელ წყვედიადში გაუჩინარდა.

ნაწილი მეორე

„ესეც ზეცა“, - გაიფიქრა ჯონათანმა და საკუთარ თავზე გაეცინა. კარგ ტონად ვერავინ ჩაუთვლიდა ზეციერების ანალიზს სწორედ იმ წუთებში, როცა იქ შესასვლელად მიემზებოდა.

ახლა, როცა მიწა დატოვა და, ორ ბრწყინვალე თოლიასთან ერთად, ღრუბლებს მოექცა თავზე, ჯონათანმა შენიშნა, რომ თვითონ მასაც ამ მეგზურებივით უბრწყინავდა სხეული. მართალია, ახლაც იგივე ახალგაზრდა თოლია ჯონათანი იყო, რომელსაც ყოველთვის უცხოვრია მისი ოქროსფერი თვალების მიღმა, მაგრამ ამჯერად გარეგნობა თუ იერი ეცვლებოდა.

თავის სხეულს ისევ თოლიას სხეულად გრძნობდა, მაგრამ ეხლა ეს უკანასკნელი ისე მიფრინავდა, როგორც არასოდეს უფრენია მის უწინდელ სხეულს

„ორჯერ ნაკლები ძალისხმევით ორჯერ უფრო დიდ სისწრაფეს მივადწევ, - ფიქრობდა ახლა, - ორჯერ უკეთეს შედეგებს, ვიდრე მიწაზე ცხოვრების საუკეთესო დღეებში.“

ამჯერად ბუმბული მთლად თეთრად უბზინავდა, ფრთები კი გაპრიალებული ვერცხლივით გლუვი და სრულყოფილი ჰქონდა. სიამოვნებით დაიწყა ამ ახალი ფრთების შესწავლა იმით, რომ ორივე ფრთა ძალუმად აამუშავა.

საათში ორასორმოცდაათ მილამდე მისულმა ჯონათანმა იგრძნო, რომ თავის ზღვრულ სიჩქარეს უახლოვდება. ორასორმოცდაცამეტზე გაიფიქრა, ამაზე მეტს ვედარ შეეძლებო და, ცოტა არ იყოს, გული გაუტყდა. არსებობდა ზღვარი, რომლითაც ახალ სხეულს შეეძლო ემოძრავა. და თუმცა ეს სიჩქარე გაცილებით ჭარბობდა მისი ძველი სხეულის რეკორდს, მაინც არსებულა ზღვარი, რომლის გადალახვა ერთობ გაუჭირდებოდა. ცაში ხომ საზღვრები აღარ უნდა არსებობდესო, - ფიქრობდა.

ღრუბლები გაიპო, გაისმა მისი ესკორტის ხმა: „ბედნიერ დაჯდომას გისურვებთ, ჯონათან“ და ორივე თოლია სივრცეში გაიმქვრა.

ჯონათანი ზღვის ზემოთ, უსწორმასწორო კლდოვანი ნაპირისკენ მიფრინავდა. კლდეებზე რამდენიმე თოლია ჩამომჯდარიყო. ჩრდილოეთით, ზედ ჰორიზონტის თავზე, რამდენიმე სხვა თოლია დასრიალებდა. ახალი თვალსაწიერები, ახალი აზრები, ახალი კითხვები. რატომ არის ასე ცოტა თოლია? ზეცაში ხომ გუნდ-გუნდად უნდა იყვნენ! ან მე რამ დამღალა ასე უცებ? ზეცაში მცხოვრები თოლიები არასოდეს არ უნდა იღლებოდნენ და არ უნდა ეძინოთ.

ან ეს სად მოისმინა? მიწიერი ცხოვრების ხსოვნა თანდათან უქრებოდა. რა თქმა უნდა, დედამიწაზე ბევრი რამ ისწავლა, მაგრამ იმდროინდელი ყოფის დეტალები უკვე გაბუნდოვდა: რაღაც საკვების ძებნა და განდევნილობა.

ნაპირიდან მის შესახვედრად თორმეტამდე თოლია გამოემართა. ისე მოუახლოვდნენ, რომ სიტყვა არ უთქვამთ. მან მხოლოდ ის იგრძნო, რომ კეთილად მიიღეს და რომ ჯონათანი შინ იყო. ეს დღე მისთვის გრძელი აღმოჩნდა, დღე, რომლის განთიადი მას აღარ ახსოვდა.

ჯონათანმა ხმელეთს მიაშურა, ფრთები გააფართოქუნა, მიწიდან ერთ ინჩზე შეჩერდა და - მსუბუქად დაემვა მიწაზე. სხვა თოლიებიც დაემვნენ, თუმცა ერთი ბუმბულიც კი არ შეურხევიათ. ნათელი ფრთები გაეშალათ და ასე ქანაობდნენ ჰაერში, მერე რაღაცნაირად ბუმბულის მრუდი შეიცვალეს და მიწაზე ფეხის დაკარებისთანავე გაჩერდნენ. საუცხოოდ მართავდნენ სხეულს! თუმცა ჯონათანი ახლა მეტისმეტად დაღლილი იყო საიმისოდ, რომ თვითონაც ეცადა ეს. ნაპირზე მდგომს, ხმისამოუღებლად ჩაეძინა.

მომდევნო დღეებში ჯონათანმა დაინახა, რომ იმდენივე რამ ჰქონდა ფრენაში სასწავლი, რამდენიც იქ, მიწიერ ცხოვრებაში. თუმცა იყო ერთი განსხვავებაც. აქაური თოლიები ისევე ფიქრობდნენ, როგორც ჯონათანი: თითოეული მათგანი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სრულყოფილების მიღწევას იმაში, რაც ყველაზე მეტად უყვარდა, ანუ ფრენაში. ყველა ისინი დიდებული ფრინველები იყვნენ და ყოველდღიურად საათობით ვარჯიშობდნენ: უმაღლეს პილოტაჟში იწვრთნებოდნენ.

ჯონათანმა დიდი ხნით დაივიწყა ის ქვეყანა, საიდანაც მოვიდა. იქ ცხოვრობდა გუნდი, რომელმაც თვალები მაგრად დახუჭა, ვინძლო ფრენის სიხარული არ გაეგო და ფრთებს მხოლოდ და მხოლოდ საკვების მოსაძებნად და იმავე საკვებისთვის საჩხუბარ-საკინკლაოდ ხმარობდა. ჯონათანს მხოლოდ დროდადრო და სულ ერთი წამით ახსენდებოდა ის ქვეყანა.

ერთ დილას ისევ გაახსენდა, როცა, ფრთებაკეცილი ვარდნის შემდეგ, თავის ინსტრუქტორთან ერთად ნაპირზე ისვენებდა.

- სხვები სად არიან, სალივან? - იკითხა ჯონათანმა უხმოდ, სრულებით გაშინაურებულმა იმ მსუბუქ ტელეპათიასთან, რომელსაც აქაური თოლიები იყენებდნენ ჭყვივილისა და გნასის ნაცვლად, - რატომ ვართ ასე ცოტა? იქ, საიდანაც მოვედი...

- ათასობით თოლია იყო. ვიცი, ჯონათან, - და სალივანმა თავი დააქნია, ერთადერთი ჩემი პასუხი ისაა, რომ შენ მილიონში ერთი ფრინველი ხარ. უმეტესი ჩვენთაგანი ძალზე ნელა განვითარდა. ერთი სამყაროდან გადავიდოდით მეორეში, თითქმის იმ პირველის მსგავსში; მეყსეულად გვავიწყდებოდა, საიდან მოვედით; არც იმას დაგიდევდით - საით მივდიოდით, და მხოლოდ მოცემული წამით ვცხოვრობდით. შეგიძლია წარმოიდგინო, რამდენი ცხოვრება უნდა გავიაროთ, ვიდრე პირველად მოგვივა თავში, რომ არსებობს კიდევ სხვა ცხოვრება, ჭამის, ჩხუბისა და გუნდში პირველობისათვის ბრძოლის გარდა? - ათასი ცხოვრება, ჯონ, ათი ათასი ცხოვრება! მერე კიდევ ასი ცხოვრება გვინდა, ვიდრე შევუდგებოდეთ იმის სწავლას, რომ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა სრულქმნილება; შემდეგ კიდევ ასი ცხოვრება იმის მისახვედრად, რომ ჩვენი ცხოვრების მიზანი ამ სრულყოფილების პოვნა და გამოვლენაა. ახლაც იმავე კანონით ვმოქმედებთ: ჩვენ ვირჩევთ ჩვენს მორიგ სამყაროს იმისდა მიხედვით, რასაც ამჟამად ვსწავლობთ. ნურაფერს ისწავლი და შემდეგი სამყარო ზუსტად ასეთივე იქნება, იმავე დასაზღვრულობებით და იმავე გადასალახავი სიმძიმეებით.

მან ფრთები გაშალა და ქარისკენ შემობრუნდა:

- მაგრამ შენ, ჯონათან, პირველივე ჯერზე იმდენი რამ ისწავლე, რომ აღარ მოგიხდა ათასი საფეხურის გავლა ამ ცხოვრებამდე მოსაღწევად.

ერთ წაშში ისინი ისევ ჰაერში იყვნენ და საფრენ ილეთებს ამუშავებდნენ. ძნელი შესასრულებელი იყო საწვრთნელი წერტილოვანი ვარდნები: ნახევრად გადაბრუნებულ ჯონათანს თავდაყირა უნდა ეფიქრა, ფრთის მრუდი საპირისპიროდ უნდა შეეცვალა და თანაც თავის ინსტრუქტორთან ერთად სრულ ჰარმონიაში.

- ერთხელ კიდევ ვცადოთ, - იმეორებდა სალივანი, - ერთხელ კიდევ.

ბოლოს, კარგიაო, თქვა. და ისინი გარე მარყუქების დამუშავებაზე გადავიდნენ.

ერთ საღამოს თოლიები, რომლებიც ღამით არ დაფრინავდნენ, ქვიშაზე ერთად შეჯგუფულიყვნენ და ფიქრობდნენ. ჯონათანმა მთელი თავისი გამბედაობა მოიკრიბა და უხუცეს თოლიასთან მივიდა, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, ეს ქვეყანა მალე უნდა დაეტოვებინა.

- ჩიანგ... - მიმართა ჯონათანმა ცოტა ნერვიულად.

მოხუცმა თოლიამ თბილად შეხედა:

- რაო, შვილიკო?

უხუცესი სიჭარმაგეში შესვლას კი არ დაესუსტებინა, არამედ უფრო და უფრო მოემძლავრებინა: გუნდის ვერცერთი თოლია ვერ გაუტოლდებოდა ფრენაში და უკვე ისეთ ოსტატობას დაუფლებოდა, როგორსაც სხვები მხოლოდ ნელ-ნელა თუ უახლოვდებოდნენ.

- ჩიანგ, ეს ადგილი სულაც არ არის ზეცა, არა?

მთვარის შუქში გახვეულმა უხუცესმა გაიღიმა:

- შენ ჯერ კიდევ სწავლობ, თოლია ჯონ!

- ჰოდა, ამ სწავლის შემდეგ რა იქნება? სად მივდივართ აქედან? არის სადმე ზეცად წოდებული ადგილი?

- არა, ჯონათან, ასეთი ადგილი არ არსებობს. ზეცა არც ადგილია და არც დრო. ზეცა სრულყოფილი არსებობაა,

- უხუცესი ერთხანს დადუმდა, - შენ უსწრაფესი მფრინავი ხარ, არა?

- მე... მე მიყვარს სისწრაფე, - თქვა შეცბუნებულმა, თუმცა ამაყმაც იმით, რომ უხუცესს მისი ღირსებები შემჩნეული ჰქონდა.

- შენ იმ მომენტში შეეხები ზეცას, როდესაც სრულქმნილ სისწრაფეს დაეუფლები, ეს კი იმას არ ნიშნავს - საათში ათასი ან მილიონი მილი დაფარო ან სინათლის სიჩქარით იფრინო. რადგან ყოველგვარი რიცხვი დასაზღვრულია, სრულქმნილებას კი საზღვრები არა აქვს. სრულყოფილი სისწრაფე, შვილო, ნიშნავს *აქ ყოფნას*.

ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ჩიანგი გაქრა და წამის მეთაღში ზუსტად წყლის კიდეზე გაჩნდა ორმოცდაათი ფუტის მოშორებით. შემდეგ ისევ გაქრა და ისევ წამის მეთაღში ჯონათანის გვერდით გამჟღავნდა.

- ეს ისე, ხუმრობით, - თქვა უხუცესმა.

ჯონათანი ისე გაოგნდა, რომ ზეცაც კი დაავიწყდა:

- ამას როგორ შვრები? რას გრძნობ ამ დროს? სადამდე შეგიძლია გადაადგილდე?

- შეგიძლია მოხვდე, სურვილისამებრ, ნებისმიერ ადგილზე და ნებისმიერ დროში, - თქვა უხუცესმა, - ყველგან და ყოველთვის მოხვედრილვარ, ჩემი სურვილისდა მიხედვით, - უხუცესმა ზღვას გახედა, უცნაურია: ის თოლიები, მოგზაურობის სახელით რომ უარყოფენ სრულქმნილებას, ნელ-ნელა მიემართებიან არსაითკენ. ისინი კი, ვინც სრულყოფილების სახელით მოგზაურობას გადასდებს გვერდზე, ყველგან მეყსეულად ხვდებიან. დაიხსომე ჯონათან: ზეცა არც ადგილია და არც დრო, რადგან ადგილსაც და დროსაც, ამ მხრივ არანაირი აზრი არა აქვს. ზეცა არის...

- შეგიძლია, ეგეთი ფრენა მასწავლო? - თოლია ჯონათანი მისთვის უცნობი მორიგი მწვერვალის დაპყრობის სურვილს აეტანა.

- რა თქმა უნდა, თუკი სწავლა გასურს.

- მსურს. როდის დავიწყებთ?

- თუნდაც ახლა, თუ შენ გასურს.

- მსურს, ეგეთი ფრენა ვისწავლო, - თქვა ჯონათანმა და თვალეში უცნაური გაუკრთა, - მითხარი რა უნდა ვქნა.

ჩიანგი ნელა მეტყველებდა და უმცროს თოლიას მზრუნველი მზერით შეჰყურებდა:

- აზრის სისწრაფით ფრენის ანუ ნებისმიერ წერტილში მეყსეულად მოხვედრის სწავლა უნდა დაიწყო იმის გაცნობიერებით, რომ ეს უკვე გაკეთებული გაქვს...

ჩიანგის მიხედვით, მთელი ეშმაკობა იმაში იყო, რომ ჯონათანს საკუთარი თავი ისე აღარ უნდა დაენახა, როგორც აქამდე ხედავდა: თითქოს ვინმეს დაემწყვდიოს სხეულში, რომლის სიგანე, ფრთაგაშლილ მდგომარეობაში, ორმოცდაროი ინჩია და რომლის მოძრაობის ტრაექტორიას რუკაზე დაიტანდი. ფანდიც იმის გაცნობიერებაში მდგომარეობდა, რომ ჯონათანის ნამდვილი ბუნება - დაუწერელი რიცხვივით სრულქმნილი - ყველგან ერთდროულად არსებობდა სივრცესა და დროში.

ჯონათანმაც ეს გეზი აიღო: ყოველდღიური წვრთნა მზის ამოსვლიდან შუაღამის გადაცილებამდე. მიუხედავად ამისა, ერთი გოჯითაც კი ვერ წაიწია წინ.

- რწმენა დაივიწყე! - ეუბნებოდა ჩიანგი დროდადრო, - იმისათვის, რომ იფრინო, რწმენა კი არ გჭირდება, არამედ თვით ფრენის არსი უნდა გესმოდეს. ეს, არსებითად, ერთი და იგივე რამეა. ახლა კიდევ ცადე...

ერთ დღესაც ნაპირზე მდგარმა ჯონათანმა თვალეები დახუჭა და მეყსეულად იგრძნო, რას ეუბნებოდა ჩიანგი. „ჰო, ეს მართალია! მე სრულყოფილი, ყოვლად დაუსაზღვრავი თოლია ვარ!“ და მან დიდი სიხარულის მოზღვავება იგრძნო.

- კარგია! - თქვა ჩიანგმა. მის ხმაში გამარჯვება ისმოდა.

ჯონათანმა თვალები გააღო. ის და უხუცესი ახლა სულ სხვა ზღვის ნაპირზე იდგნენ: წყალზე ხეები დახრილიყო, თავზემოდ ორი ყვითელი მზე ტრიალებდა.

- როგორც იქნა, მიხვდი, - თქვა ჩიანგმა, - მაგრამ თვითკონტროლი დასახვეწი გაქვს...

ჯონათანი გაოგნებული იყო:

- სად ვართ?

უცნობი გარემოს მიმართ სრულებით გულგრილმა, უხუცესმა შეკითხვას სასხვათაშორისოდ უპასუხა:

- როგორც ჩანს, რომელიღაც მწვანეციან და ორმზიან პლანეტაზე.

ჯონათანს სიამოვნების ჭყვილი აღმოხდა, - პირველი ბგერა მას შემდეგ, რაც დედამიწა დატოვა:

- გამოდის!

- ჰო, რა თქმა უნდა, გამოდის, ჯონ, - თქვა ჩიანგმა, - ყოველთვის გამოდის, როცა იცი, რას შვრები. ახლა კი, რაც შეეხება შენს თვითკონტროლს...

როცა დაბრუნდნენ, უკვე ბნელოდა. სხვა თოლიებმა ჯონათანს შიშამდგარი თვალებით შეხედეს: მათ ხომ დაინახეს, როგორ გაუჩინარდა იგი იმ ადგილიდან, სადაც ამდენხანს ფეხმოუცვლელად იდგა.

ჯონათანმა რამდენიმე ათეულ წამს მათ მოლოცვებს უსმინა, მერე კი უთხრა:

- მე ახალმოსული ვარ! მე ახლად ვიწყებ! ეს მე უნდა ვისწავლო თქვენგან და არა პირიქით!

- მიკვირს, ჯონ, მიკვირს, - თქვა იქვე ახლოს მდგარმა სალივანამ, - ყველა იმ თოლიაზე უშიშარი ხარ, ვინც კი ამ ათი ათასი წლის მანძილზე მინახავს.

გუნდი ჩაჩუმდა, ჯონათანი კი მოუსვენრად აწრიალდა.

- თუ გასურს, შეგვიძლია დროსთან დავიწყოთ მუშაობა, - უთხრა ჩიანგმა, - ვიდრე არ შეძლებ, რომ წარსული და მომავალი ფრენით მოიარო. ამის შემდეგ კი მზად იქნები ყველაზე საძნელო, ყველაზე ძალუმი, ყველაზე საინტერესო საქმისთვის, - მზად იქნები იმისთვის, რომ აფრენა დაიწყო და სიკეთისა და სიყარულის არსი შეიცნო.

ამის შემდეგ კიდევ განვლო ერთმა თვემ ან რაღაც დრომ, რაც დაახლოებით ერთ ან რაღაც დრომ, რაც დაახლოებით ერთ თვედ აღიქმებოდა. ჯონათანი ჩვეულებრივი ვარჯიშებითაც ყოველთვის სწრაფად სწავლობდა, ახლა კი, თვით უხუცესი თოლიას საგანგებო მოწაფე, ახალ იდეებს მთლად მოკვერცხილ-შებუმბვლილი გამომთვლელი მანქანასავით ითვისებდა.

მაგრამ, აი, დადგა დღე, როცა ჩიანგი გაქრა. მანამდე გუნდის ყველა წევრს მშვიდად ესაუბრა, შეაგონა, რომ არ შეეწყვიტათ სწავლა, ვარჯიში და მათეული სწრაფვა იმისაკენ, რომ უფრო მეტი გაეგოთ სიცოცხლისა და ცხოვრების სრულყოფილ-უხილავი პრინციპის შესახებ. მერე კი, შუა ლაპარაკის დროს, უხუცესის ბუმბული თანდათან უფრო განათდა, განათდა და ბოლოს ისე გაბრწყინდა, რომ ვერცერთმა თოლიამ თვალი ვეღარ გაუსწორა.

- ჯონათან, - თქვა მან, და ეს იყო მის მიერ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები, - იმუშავე სიყვარულზე და სიყვარულისათვის.

როცა თოლიებს მზერა დაუბრუნდათ, ჩიანგი აღარსად ჩანდა.

დღეები გადიოდა და ჯონათანმაც აღმოაჩინა, რომ დროდადრო იმ დედამიწაზე ფიქრობდა, საიდანაც წამოვიდა. იქ რომ იმის მეათედი ან მეასედი სცოდნოდა, რაც აქ ისწავლა, რამდენად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა იქაური ცხოვრება! ქვიშაზე იდგა და ფიქრობდა: ნეტავ ამწუთას თუ იბრძვის იქ რომელიმე თოლია საკუთარი საზღვრების გადასალახად და იმისათვისაც, რომ განჭვრიტოს ფრენის უფრო მაღალი აზრი, ვიდრე მეთევზის ნავიდან გადმოყრილი პურის ნამცეცებისათვის ფრენააო. შესაძლოა, მართლაც იყო ვინმე, ვინც გააძევეს მას შემდეგ, რაც გუნდს თავისი სიმართლე უთხრა. რაც უფრო მეტ სიკეთის გაკვეთილს უტარებდა თავის თავს, რამდენადაც უფრო მეტს მუშაობდა სიყვარულის ბუნების შესაცნობად, მით მეტად უღვივდებოდა მიწის მონახულების სურვილი. რადგან, თავისი მარტოხელა წარსულის მიუხედავად, თოლია ჯონათანი ინსტრუქტორად იყო დაბადებული და სიყვარულის გამომყვანების მისეული გზა იმაში მდგომარეობდა, რომ მის მიერ შეცნობილი რომელიმე ჭეშმარიტების რაღაც ნაწილი მავანი თოლიასთვის გადაეცა: ეს უკანასკნელი ხომ მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ მისთვის მისივე შესატყვისი ჭეშმარიტება დაენახებინათ.

თუმცა ჯონათანის ამ სურვილს ეჭვის თვალთ უყურებდა სალივანი, რომელიც ამჟამად თვითონ იყო აზრის სისწრაფით ფრენის ადეპტი და სხვა თოლიების მასწავლებელი:

- ჯონ, შენ ერთხელ გამოგაძევეს. რატომ ფიქრობ, რომ რომელიმე თოლია შენი ძველი გუნდიდან ყურს დაგიდებებს? შენ ხომ იცი ეს გულმართალი ანდაზა: „ყველაზე მაღლა მფრენი ყველაზე შორსაც ხედავს“. ის თოლიები მიწაზე დგანან, ჭყვიან და ერთმანეთში ჩხუბობენ ზეციდან ათასი მილის დაშორებით. და შენ ამბობ, რომ გასურს მათ ზევცა დაანახო?! ისინი საკუთარი ფრთების წვერებსაც კი ვერ ხედავენ, ჯონ! დარჩი, ნუ წახვალ, აქაურ ახალბედებს დაეხმარე, - იმათ, რომლებიც საკმარისად მაღლა დგანან იმისათვის, რომ გაიგონ, რას უბნენვი.

სალივანი ერთხანს გაჩუმდა, მერე კი დაამატა:

- ჩიანგიც თავის ძველ სამყაროებს რომ დაბრუნებოდა, შენ სად იქნებოდი დღეს?

ძალზე მეტყველი სიტყვები იყო. სალივანი მართლაც ამბობდა: *ყველაზე მაღლა მფრენი ყველაზე შორსაც ხედავს.*

ჯონათანი დარჩა და ახალმოსულ ფრინველებთან განაგრძო მუშაობა. ყველას საოცრად უბზინავდა სხეული და ყველა სწრაფად ითვისებდა მიცემულ გაკვეთილებს. მაგრამ ჯონათანს ისევ დაბრუნებოდა ძველი გრძნობა და ვერაფრით ვერ შეძლო არ ეფიქრა მიწაზე დარჩენილ, სწავლას მოწყურებულ ერთ-ორ თოლიაზე. თვითონაც რამდენად მეტი ეცოდინებოდა ახლა, ჩიანგს რომ ჩამოეკითხა მიწიერი გუნდიდან მისი განდევნის დღეს!

- უნდა წავიდე, სალი, - თქვა ბოლოს, - შენი მოწაფეები კარგად მუშაობენ. მხარში ამოგიდგებიან ახალმოსულების აღზრდაში.

სალიმ ამოიოხრა, მაგრამ არ შეჰკამათებია.

- მგონი, მომენტრები, ჯონათან, - მხოლოდ ეს უთხრა.

- სირცხვილი, სალი! - უსაყვედურა ჯონათანმა, - და ნუ სულელობ! ნეტავ, რას ვარჯიშობ ყოველდღე?! თუ ჩვენი მეგობრობა დროსა და სივრცეზეა დამოკიდებული, მაშინ გამოდის, რომ როდესაც საბოლოოდ გადავლახავთ ამ ორივეს, ჩვენს ძმობასაც დავამსხვრევთ! მაგრამ გადავლახოთ სივრცე და - დაგვრჩება მხოლოდ *აქ*. გადავლახოთ დრო და დაგვრჩება მხოლოდ *ახლა*. ჰოდა რას ფიქრობ, ეგებ *აქ*-სა და *ახლა*-ს შორის შეგვეძლო ერთმანეთის ნახვა ერთი-ორჯერ?

თოლია სალივანს უნებურად გაეცინა:

- ოჰ, შე გიჟო ფრინველო! - თქვა გულკეთილად, - თუ ვინმეს შეუძლია მიწის მკვიდრ თოლიას უჩვენოს, თუ როგორ უნდა გაიხედოს ამ უკანასკნელმა ათას მილზე, ეს იქნება თოლია ჯონათან ლივინგსტონი.

შემდეგ ქვიშას დახედა და დააბოლოვა:

- ნახვამდის, ჯონ, ჩემო მეგობარო.

- ნახვამდის, სალი. ჩვენ კიდევ შევხვდებით, - უთხრა ჯონათანმა და იმ წამს ფიქრში დედამიწელი თოლიების დიდი გუნდი წარმოუდგა. მრავალნაცადი სიმსუბუქით უკვე იცოდა, რომ ის მხოლოდ ძვალი და ბუმბული კი არ იყო, არამედ თავისუფლებისა და სინათლის სრულყოფილი, ყოვლად დაუსაზღვრავი იდეა.

თოლია ფლეტჩერ ლინდი ჯერ სრულიად ახალგაზრდა იყო, თუმცა უკვე იცოდა, რომ არცერთი გუნდის არცერთ ფრინველს არ მოჰქცევია ისე უხეშად და უსამართლოდ, როგორც მას მოექცნენ.

„სულ არ მადარდებს, რას ამბობენ, - გაიფიქრა გულმოსულმა და შორეული კლდეებისკენ გეზადებულს, მზერაც დაეხინდა, - რამდენი საფრენი სივრცეა ირგვლივ, იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ ფრთები აფართოქუნო ერთი ადგილიდან მეორემდე! ამას... ამას ხომ *კოლოც* შვრება! ერთი პატარა შემოფრენა უხუცესი თოლიას გარშემო - ისე, უბრალოდ, ხუმრობისათვის - და, აი, გუნდიდან გამამევეს! ბრძენი არიან თუ რა? თვალეში ვერ იყურებიან? ნუთუ ვერ ხედავენ, რა დიდება ელის ყოველ თოლიას, რომელიც ნამდვილ ფრენას ისწავლის? ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობენ. მხოლოდ იმას ვაჩვენებ, რას ნიშნავს *ფრენა*! მე ასპროცენტთან კანონგარეშედ გამოვცხადდები, თუ ასე ურჩევნიათ. ისე ვანანებ, ისე, რომ...“

უცებ საკუთარ თავში ხმა გაიგონა, რომელმაც ისე გააოგნა, რომ ჰაერში წაიფორხილა და წაბორძიკდა.

- გუნდს არ ეუხემო, თოლია ფლეტჩერ. შენი გაგდებით დანარჩენები მხოლოდ თავის თავს ავნებენ. ოდესმე ამას მიხვდებიან და იმასაც დაინახავენ, რასაც ახლა შენ ხედავ. აპატიე და დაეხმარე, რომ გასაგები გაიგონ.

ფლეტჩერს მარჯვენა ფრთის წვეროდან ერთი ინჩის დაშორებაზე მსოფლიოს უმშვენიერესი თეთრი თოლია მოჰყვებოდა, - უმსუბუქესად, ბუმბულის შეურხევლად, თითქმის ფლეტჩერის ზღვრული სისწრაფით.

ახალგაზრდა ფრინველი ერთი წამით ქაოსმა მოიცვა:

- რა ხდება? ხომ არ შევიშალე? ეგებ მოვკვდი? ეს რა არის?

დაბალი და მშვიდი ხმა ისევ დაირხა მის გონებაში:

- თოლია ფლეტჩერ, გსურს თუ არა ფრენა?

- ჰო, მე მსურს ფრენა!

- თოლია ფლეტჩერ ლინდი, იმდენად გწყურია თუ არა ფრენა, რომ შენს გუნდს აპატიებ, ისწავლი და ერთ დღესაც დაუბრუნდები და დაეხმარები, რომ მათაც ისწავლონ?

აზრი არ ჰქონდა ამ დიდებული ფრინველის მოტყუებას, როგორი ამაყი ან ნაწყენიც არ უნდა ყოფილიყო ფლეტჩერი.

- ჰო, მწყურია.

- მაშინ, ფლეტჩერ, - განაგრძო უცხოლ მზზინავმა არსებამ თბილი ხმით, - ჰორიზონტალური ფრენით დავიწყოთ...

ნაწილი მესამე

ჯონათანი შორელი კლდეების თავზე ნელ წრეებს კრავდა და თან თოლია ფლეტჩერს - ამ თითქმის უზადო მოწაფეს - უთვალთვალავდა. ფლეტჩერი ჰაერში ძალუმად, მსუბუქად და სწრაფად დასრიალებდა, მაგრამ ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ფრენის სწავლის ბრწყინვალე უნარით გამოირჩეოდა.

აი, ამწამს ინსტრუქტორის წინ შხუილით გაიელვა ასორმოცდაათი მილის სისწრაფით მიმქროლავმა მისმა დაბინდულმა ჩრდილმა, წამის წინ რომ ამოყვინთა ვერტიკალური ვარდნიდან. შემდეგ მოულოდნელად დაიწყო თექვსმეტწერტილიანი ნელი ვერტიკალური ვარდნა, თან ამ წერტილებს ხმამაღლა ასახელებდა:

- რვა... ცხრა... ათი... უყურე-ჯონათან-მეტს-ველარ-მოვუმატებ...თერთმეტი... შენსავით-მინდა-ჰაერში-უცვებ-ვქვავდებოდე... თორმეტი... მაგრამ-ჯანდაბას!-ვერ-ვაკეთებ... ცამეტი... ეს-ბოლო-სამი-წერტილი... მეთოთხმეტეს... გარემ... ააააჰ!

ვარდნისას ფლეტჩერმა ფრთები უკიდურესი სიშმაგითა და მძვინვარებით ააფართქუნა. ჯერ უკან გადავარდა, შემდეგ, ზურგზე გადაგორებულმა, რაღაც ველური ხმით გაიტყლაშუნა, დაბოლოს, აქოშინებული, გონს მოეგო თავის ინსტრუქტორზე ასიოდე ფუტით ქვემოთ.

- სულ ტყუილად ფლანგავ დროს, ჯონათან! ხომ ხედავ, რა ბრიყვი ვარ! ვცდილობ, სულ ვცდილობ, მაგრამ ვერა და ვერ ვშვრები!

თოლია ჯონათანმა ზემოდან ჩამოხედა და თავი დაუქნია:

- რა თქმა უნდა, ეგრე იქნება, რადგან მეტისმეტად მძიმედ აკეთებ მაგ ზეასვლას. ფლეტჩერ, დასაწყისში შენ მთელი ორმოცი მილი სისწრაფე დაკარგე! იყავი უფრო რბილი და მოზომილი! მტკიცე და თან რბილი: დაიხსომებ? ჯონათანი ახალგაზრდა თოლიასთან დაეშვა:

- მოდი, ერთად ვცადოთ, მწყობრად და ყურადღება მიაქციე იმ ზეაღსვლას: რბილად, აუჩქარებლად უნდა დაიწყო.

სამი თვის შემდეგ ჯონათანს უკვე ექვსი მოწაფე ჰყავდა, ყველა - განკვეთილი და, ამავე დროს, გატაცებული ამ უცნაური ახალი იდეით: ფრენა თვით ფრენის სიხარულისათვის!

და მაინც: კარგი ვარჯიში უფრო ეადვილებოდათ, ვიდრე მის უკან მდგარი აზრის გაგება.

- თითოეული ჩვენგანი, სინამდვილეში, დიდი თოლიას იდეას წარმოადგენს, - ამბობდა ჯონათანი სადამოლობით ნაპირზე ჯდომისას, - მართებული ფრენა კი ჩვენი რეალური ბუნების გამოვლენისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯია. ყველაფერი, რამაც კი შეიძლება შეგვზღუდოს, გვერდზე უნდა გადავდოთ. ამიტომ ვეწევი მთელ ამ მაღალ-დაბალსიჩქარიან პილოტაჟს...

მთელი დღის ფრენით არაქათგამოცლილ მის მოწაფეებს კი ემინათ. მათ პრაქტიკა უყვარდათ: დიდი სისწრაფით დაფრინავდნენ, გულაგზნებულნი, და ცოდნის მიღების იმ შიმშილსაც იკმაყოფილებდნენ, გაკვეთილიდან გაკვეთილამდე უფრო და უფრო რომ იზრდებოდა. მაგრამ ვერცერთმა - თვით ფლეტჩერ ლინდმაც კი - ვერ დაიჯერა, რომ იდეების ფრენაც ნიაგუმბულის ფრენასავით რეალური შეიძლებოდა ყოფილიყო.

- მთელი თქვენი სხეული, ერთი ფრთის წვერიდან მეორე ფრთის წვერამდე, სხვა არაფერია, თუ არა თქვენივე აზრის ხორცშესხმა, - თქვა ჯონათანმა სხვა დროს, - გაწყვიტეთ აზრის ჯაჭვი და ამით სხეულის ჯაჭვსაც გაწყვეტეთ...

მაგრამ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორ ლაპარაკობდა ინსტრუქტორი: ეს ყველაფერი სასიამოვნო გამონაგონივით ჟღერდა, თოლიებს კი ახლა ძილი უფრო უნდოდათ.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგდა უთხრა ჯონათანმა - დროა, თქვენს გუნდში დაბრუნდეთო.

- ჯერ მზად არ ვართ! - თქვა თოლია ჰენრი კელვინმა, - იქ არავის დავუპატიჟებიათ! ჩვენ გამოგვაძევეს! როგორ ვაიძულოთ თავი და როგორ დავბრუნდეთ იქ, სადაც არავის ვსურვართ?!

ჩვენ თავისუფალნი ვართ: სადაც გვინდა, იქ წავალთ და ის ვიქნებით, რანიც ვართ, - თქვა ჯონათანმა, ქვიშიდან აიწია და აღმოსავლეთისაკენ - გუნდის მშობლიური მიწებისაკენ გაფრინდა.

ამაზე მოწაფეებმა ერთხანს ივიშიშეს: გუნდის კანონი კრძალავდა გაძევებულის უკან დაბრუნებას, კანონი კი ერთხელაც არ დარღვეულა მთელ ათას წელიწადში. კანონი ამბობდა - აქ არ დაგინახოთო, ჯონათანი კი - წავიდეთ, გუნდს მივაკითხოთო. ამწუთას ის უკვე ერთ მილზე დაშორდა ნაპირს. კიდევ რომ დაეცადათ, ჯონათანი მტრულად განწყობილი გუნდის პირისპირ მარტო დარჩებოდა.

- თუ გუნდის წევრები არ ვართ, კანონსაც აღარ ვემორჩილებით, ასე არ არის? - თქვა ფლეტჩერმა უფრო თავისთვის, ვიდრე სხვისთვის, - გარდა ამისა, თუ შეტაკება მოხდა, იქ გაცილებით უფრო გამოვდგებით, ვიდრე აქ.

ასე შემოფრინდნენ იმ დილას დასავლეთის მხრიდან: რვა თოლია ორმაგ რომბად გამწკრივებულიყო ერთიმეორეს თავზე და ფრთების წვერებით თითქმის ერთმანეთს ეხებოდა. გუნდის საბჭოს ნაპირზე ისინი საათში ასოცდათხუთმეტი მილის სისწრაფით შემოფრინდნენ: წინ - ჯონათანი, მის მარჯვენა ფრთასთან - რბილად მომცურავი ფლეტჩერი, მარცხენასთან - გულადად ფრთებისმქნევი ჰენრი კელვინი. შემდეგ მთელი ეს „ორმაგი რომბი“ ერთი სხეულივით ნელა წავიდა მარჯვნივ... სიმაღლე აიღო... გადაბრუნდა... ისევ სიმაღლე აიღო... და ჰაერიც ერთიანად ააშრიალა.

გუნდის ყოველდღიური ცხოვრების მუდმივად თანმხლები ჭყვილ-გნიასი ისე ერთბაშად მოისხიპა, თითქოს უეცრად შემოჭრილი თოლიების „ორმაგი რომბი“ ვეებერთელა დანა ყოფილიყოს, რომელსაც ახლა რვა ათასი თოლია თვალისდაუხამხამებლად მისჩერებოდა. რვა ფრინველი სათითაოდ აიჭრა ცისკენ, სრული მარყუჟი შეკრა და წარმოუდგენლად ნელა და გამართულად დაემვა ქვიშაზე. შემდეგ კი, თითქოს ეს ყოველდღიურად ხდებოდა, თოლია ჯონათანი ამ ფრენის კრიტიკას მოჰყვა:

- ჯერ ერთი ის, რომ ყველას რამდენადმე დაგაგვიანდათ და დროულად არ შეერთდით... - თქვა მან ნისკარტმოღრეცილი ღიმილით.

ამ ამბავმა მთელ გუნდს ელვასავით გადაუარა: ეს ხომ განდევნილი ფრინველები არიან! და ისინი დაბრუნდნენ! და ეს... ეს შეიძლება მოხდეს! ფლეტჩერის წინასარმეტყველება მოსალოდნელი შეტაკების თაობაზე გუნდის საყოველთაო შეცბუნებით შეიცვალა.

- ჰო, რა თქმა უნდა, ეგენი განდევნილები არიან, - წარმოთქვა ერთმა ახალგაზრდა თოლიამ, - მაგრამ, კაცო, ასეთი ფრენა სადღა ისწავლეს?

თითქმის ერთი საათი გავიდა იმ მომენტამდე, სანამ უხუცესის სიტყვამ - ყურადღებას ნუ მიაქცევთო - მთელი გუნდი შემოიარა. თოლია, რომელიც მოკვეთილს ელაპარაკება, თვითონაც მოიკვეთება. თოლია, რომელიც გაძევებულს უყურებს, გუნდის წესს არღვევს.

ამ მომენტიდან ჯონათანს მთელმა გუნდმა ერთბაშად შეაქცია თავისი ნაცრისფერი ზურგი. ამას კი თითქოს არაფერი შეუმჩნევია, უწინდებურად განაგრძო თავისი გაკვეთილი პირდაპირ გუნდის საბჭოს ნაპირზე და, პრაქტიკულად, პირველად მოსთხოვა მოწაფეებს ბოლომდე გამოევილინათ თავ-თავიანთი შესაძლებლობები.

- თოლია მარტინ! - ცა გადასერა ჯონათანის ხმამ, - შენ ამბობ, დაბალი სიჩქარით ფრენა შემძლიაო. არა, შენ არაფერი არ შეგიძლია, ვიდრე არ დაამტკიცებ! **გვიჩვენე!**

პატარა და წყნარმა თოლია მარტინ უილიამმა, სრულებით გაოგნებულმა იმით, რომ სწორედ ის მოჰყვა ინსტრუქტორის ცეცხლქვეშ, არც აცია, არც აცხელა და უცებ დაბალსიჩქარიანი ფრენის ჯადოქრად გადაიქცა. თვით უმსუბუქეს სიომიც კი შეეძლო ისე გაეზნიქა ბუმბული, რომ საერთოდ ფრთების დაუქნევლად აწეულიყო ქვიშიდან ღრუბლებამდე და პირიქით.

შემდეგ თოლია ჩარლზ-როლანდი აჰყვა დიდი მთის ნიავს ოცდაოთხი ათასი ფუტის სიმაღლეზე და - ცივი ჰაერიდან მთლად გალურჯებული - განცვიფრებული და ბედნიერი დაემვა მტკიცე გადაწყვეტილებით: ხვალ უფრო მაღლა ავალო.

თოლია ფლეტჩერმაც, რომელსაც აკრობატიკის სიყვარულში ვერავინ შეედრებოდა, წარმატებით დამლია თავისი თექვსმეტ-წერტილიანი ნელი ვარდნა, მეორე დღეს კი ამას გადააჭარბა თავისივე სამმაგი სალტოთი და მზის სხივებში ააბრწყვილა ბუმბული, რასაც ნაპირიდან არც ისე ცოტა თვალი უყურებდა მალულად.

ჯონათანი მოწაფეებს ერთი წუთითაც არ მოსცილებია: უჩვენებდა, უჩვენებდა, ძალას ატანდა, მეგზურობდა... ხალისით დაჰყვებოდა ღამეში, ღრუბლებში, ქარიშხალში... ამასობაში კი, დანარჩენი გუნდი საცოდავად დაფართოხუნობდა მიწაზე.

როდესაც ფრენა დასრულდა, მოწაფეები დასასვენებლად ქვიშაზე დასხდნენ და ახლა ჯონათანს უფრო ახლოდან დაუგდეს ყური. მისი ზოგიერთი ველური იდეა მათთვის სრულებით გაუგებარი იყო. აი, ზოგ სხვა იდეას კი უკეთ იაზრებდნენ.

ნელ-ნელა, ღამდამობით, მოწაფეების წრის გარშემო სხვა წრე შეიკრა: გუნდიდან გამოპარული ცნობისმოყვარე თოლიები წყვდიადმი ისხდნენ და საათობით უსმენდნენ ჯონათანისა და მისი მოწაფეების საუბარს, - უსმენდნენ და არც სხვისი დანახვა სურდათ და არც ის, რომ თვითონ შეემჩნია ვინმეს. ბოლოს კი, გამთენიისას, უხმოდ უჩინარდებოდნენ.

მიწაზე დაბრუნებიდან ერთმა თვემ განვლო, როდესაც გუნდის პირველმა თოლიამ ჯონათანს და მის პირველ მოწაფეებს მოაკითხა და სთხოვა, ფრენა მასწავლეთო. ამით იგი - თოლია ტერენს ლოუელი - გუნდის მიერ მოკვეთილ თოლიად და, ამასთანავე, ჯონათანის მერვე მოწაფედ გამოცხადდა.

მომდევნო ღამეს მოვიდა თოლია კერკე მენარდი. აქეთ-იქეთ ქანაობდა და მარცხენა ფრთა მიწაზე დასთრევდა. მოვიდა და ჯონათანის ფერხით დაეცა:

- მიშველეთ, თქვა მან ძალზე წყნარად, თითქოს მომაკვდავი ლაპარაკობსო, - არაფერი ამქვეყნად ისე არ მინდა, როგორც ფრენა...

- მოდი, მერე, - უთხრა ჯონათანმა, - ახლა რამენაირად ზურგზე შემაცოცდი და დავიწყოთ.

- შენ ვერ გამიგე: ფრთას, ფრთას ვერ ვამოძრავებ.

- თოლია მენარდი! შენ გაქვს თავისუფლება - იყო ის, ვინც ნამდვილად ხარ, იყო აქ და ახლა, და ვერაფერი გადაგელობება შენს გზაზე. ასეთია დიდი თოლიას კანონი, კანონი, რომელიც არის და მოქმედებს.

- ანუ შენ ამბობ, რომ მე შემძლია ვიფრინო?

- მე ვამბობ, რომ შენ თავისუფალი ხარ.

ამ პასუხივით უბრალოდ და სწრაფად თოლია კერკ მინარდმა ფრთები ძალდაუტანებლად გაშალა და ღამის ბნელ ჰაერში ალივლივდა. მძინარე გუნდი ელდასავით შეაღვიძა ხუთასი ფუტის სიმაღლეზე მისი ყელიდან მთელი ძალით ამომსკდარმა ყვირილმა: „მე შემძლია ვიფრინო! მომისმინეთ! **მე შემძლია ვიფრინო!**“

მზის ამოსვლისას ათასამდე ფრინველი მოწაფეების წრის შორიახლო იდგა და მინარდს გულისყურით უთვალთვალებდა. არ ანაღვლებდათ - ხედავდა თუ არა ვინმე, მხოლოდ უსმენდნენ და ცდილობდნენ, თოლია ჯონათანის სიტყვებს ჩაწვდომოდნენ.

ის კი უმარტივეს საგნებზე საუბრობდა: რომ თოლიას უფლება აქვს იფრინოს; რომ თავისუფლება თვით მისი არსი და ბუნებაა; რომ რაც არ უნდა დაუდგეს წინ ამ თავისუფლებას - რიტუალი, ცრურწმენა თუ რაგინდარა შეზღუდვა - სასწრაფოდ უნდა გადაიწიოს გვერდზე.

- გვერდზე გადაიწიოს? - გაისმა ხმა გარს მოჯარული სიმრავლიდან, - თვით გუნდის კანონიც კი?

- ერთადერთი ჭკმარიტი კანონი ისაა, რომელსაც თავისუფლებისაკენ მივყავართ, - თქვა ჯონათანმა, - სხვა არ არსებობს.

- როგორ ვიფრინოთ თქვენნაირად? - თქვა მეორე ხმამ, - თქვენ გამორჩეული ნიჭით ცხებულნი, ღვთაებრივნი და სხვა ფრინველებზე მაღლა მდგომნი ხართ.

- შეხედეთ ფლეტჩერს! ლოუელს! ჩარლზ-როლანდს! ჯუდი ლის! ნუთუ ისინიც გამორჩეულნი და ღვთაებრივნი არიან? - არა უფრო მეტად, ვიდრე თქვენ ან მე. ერთადერთი სხვაობა იმაშია, რომ მათ უკვე დაიწყეს გაგება, თუ რას წარმოადგენენ სინამდვილეში და პრაქტიკულად დაიწყეს ამის განხორციელება.

ჯონათანის მოწაფეები, ფლეტჩერის გამოკლებით, ძნელად თუ იგებდნენ ამ ყველაფერს: არ ესმოდათ, რომ სწორედ იმას შერებოდნენ, რასაც ჯონათანი ეუბნებოდა.

ყოველდღიურად გუნდიდან უფრო და უფრო მეტი თოლია უერთდებოდათ. მოდიოდნენ კითხვების დასასმელად, გასაღმერთებლად, ზიზღის შესაფრქვევად.

- გუნდში შენს შესახებ ამბობენ: თუ ეგ თვით დიდი თოლიას შვილი არ არის, მაშინ ათასი წლით გაუსწრია თავისი დროისთვისო, - უთხრა ფლეტჩერმა ჯონათანს ერთ დილას, სისწრაფის მორიგი გაკვეთილის შემდეგ.

ჯონათანმა ამოიოხრა: „აი, კიდევ ერთი გაუგებრობა! ან ემმაკი უნდა გიწოდონ ან ღმერთი!“

- რას იტყვი, ფლეტჩერ? მართლა წინ გავუსწართ დროს?

ამას ფლეტჩის ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა.

- ამნაირი ფრენა ყოველთვის შეიძლება ისწავლოს ყველამ, ვინც კი მის აღმოჩენას მოისურვებს. ამას დროსთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენ, შესაძლოა, აზროვნების ყაიდას გავუსწართ, ანუ იმ სტილს, რომლითაც თოლიების უმრავლესობა დაფრინავს.

- ჰო, მაგაში რაღაც არის, - თქვა ჯონათანმა და ზურგზე გადაბრუნდა რომ ერთხანს ასე ამოტრიალებულს ეფრინა, - ეს დროის გასწრებაზე არანაკლები ამბავია.

ეს ამბავი სულ შვიდიოდე დღის შემდეგ მოხდა. ფლეტჩერი ახალი მოწაფეების კლასს მაღალსიჩქარიანი ფრენის ელემენტებს უჩვენებდა. ის იყო, შედიათასფუტის სიმაღლიდან ჩამოქანებულმა გრძლად გაიშვია საწარმოდან სულ რამდენიმე ინჩის სიმაღლეზე, რომ თავის პირველ გაკვეთილზე მყოფი ახალგაზრდა თოლია „დედა-დედას“ ძახილით პირდაპირ მის ბილიკზე შემოიჭრა. იმისათვის, რომ წამის სულ რაღაც მეთაქვით გვერდი აეკლო ნორჩი თოლიასთვის, ფლეტჩერ ლინდმა მარცხნივ უგანა და საათში ორას მილის სისწრაფით შეასკდა გრანიტის კლდეს.

ეს კლდე მისთვის სხვა სამყაროში გამავალი ვეებერთელა მძიმე კარივით აღმოჩნდა: ზაფრა, შენარცხება, ჩამოწოლილი წყვილი... მერე კი - აცურება უცნაურ, უცნაურ ცაში, დავიწყება, გახსენება, ისევ დავიწყება... შიში... სევდა... სინანული, საშინელი სინანული...

მერე ისეთი ხმა ჩაესმა, როგორც თოლია ლივინგსტონთან შეხვედრის პირველ დღეს:

- მთელი ფანდი იმაშია, ფლეტჩერ, რომ ჩვენ საკუთარ დასაზღვრულობათა ნელ-ნელ და მოთმინებით გადალახვას ვცდილობთ. ჯერჯერობით არ ვლამობთ კლდეში გაღწევას: ეს ჩვენს პროგრამაში უფრო მოგვიანებით ხდება.

- ჯონათან!

- ... და თანაც დიდი თოლიას ვაჟიშვილად ცნობილი! - დაუმატა საკუთარი თავის შესახებ ჯონათანმა.

- აქ რას შვრები? კლდე?! ნუთუ მე... არ მოვკვდი?

- ოჰ, გეყო, ფლეტჩერ, იაზროვნე. რაკი მელაპარაკები, ესე იგი, არ მომკვდარხარ. შენ მოახერხე და ცნობიერების დონე უცებ იცვალე. თავად უნდა აირჩიო: ან ამ დონეზე დარჩი და აქ ისწავლე (ეს კი საგრძნობლად აღემატება იმ დონეს, რომელიც შენ წელან დატოვე), ან კიდევ, დაბრუნდი უკან და გუნდთან მუშაობა განაგრძე. უხუცესებს იმედი ჰქონდათ, რომ რაღაც უბედურება მოხდებოდა, მაგრამ შენ ისეთი პატივი დასდე - მთლად გაოგნებულები არიან.

- დაბრუნება მსურს, რა თქმა უნდა. სულ ახლახან დავიწყე მეცადინეობა ახალ გუნდთან.

- ძალიან კარგი, ფლექტერ. ხომ გახსოვს, რას ვამბობდით სხეულზე, რომელიც მხოლოდ აზრია და სხვა არაფერი?

ფლექტერმა თავი შეარხია, ფრთები გაშალა და თვალები გააღო. კლდის ძირში იწვა და გარს მთელი გუნდი შემორტყმოდა. ამ პირველ შერხევას ყველა სიხარულის ჭყვივით შეხვდა:

- ცოცხალია! მკვდარი გაცოცხლდა!
- დიდი თოლიას ძე მას ფრთის წვერით შეეხო! სიცოცხლისკენ მოაბრუნა!
- არა, იგი მას უარყოფს! ის ეშმაკია! **ეშმაკი!** გუნდის დასაშლელად მოვიდა!

გუნდში ოთხი ათასი თოლია იყო, წუთის წინ მომხდარი ამბით შემინებული ოთხი ათასი ფრინველი. სიტყვა „**ეშმაკი**“ აზოზოქრებული ოკეანიდან დაძრული ქარივით მოედო ყველას. ანთებული თვალებითა და ბასრი ნისკარტებით, ყველამ ერთად წამოიწია წინ განდევნილთა შესამუსრავად.

- ახლა, რაკი აქ ვართ, უკეთ გრძნობ თავს, ფლექტერ?
- ისე, მაინცდამაინც არ გავაპროტესტებდი, თუკი...

უეცრად ორივენი ნახევარი მილის მოშორებით აღმოჩნდნენ და გაავებული ბრბოს ნისკარტებმა ჰაერში გაიტკაცუნა.

- რატომ ხდება, - თქვა საგონებელში ჩავარდნილმა ჯონათანმა, - რომ ამქვეყნად უძნელესი საქმეა ფრინველს დაუმტკიცო „შენ თავისუფალი ხარო“ და რომ ამას თვითონვე დაუმტკიცებდა თავის თავს, თუკი ცოტაოდენს წაივარჯიშებდა? რატომ უნდა იყოს ეს ასე ძნელი?

ამ უეცარი ცვლილებებით გაოგნებული ფლექტერი ჯერ კიდევ თვალებს ახამხამებდა:

- რა იჯადოქრე, ჯონათან? როგორ აღმოვჩნდით აქ?
- შენ ხომ თქვი, ბრბოდან გასვლა მინდაო?
- ჰო, მაგრამ როგორ...
- როგორც ყოველივე დანარჩენი ფლექტერ: პრაქტიკით.

დილისათვის გუნდს უკვე დაევიწყებინა საკუთარი სიგიჟე, - გუნდს და არა ფლექტერს.

- გახსოვს, ჯონათან, რა თქვი დიდი ხნის წინ: უნდა გვიყვარდეს გუნდი, დაუბრუნდე მას და ფრენა ასწავლო?
- მახსოვს, რასაკვირველია.
- არ მესმის, როგორ შეგიძლია გვიყვარდეს ფრინველთა ეს ბრბო, რომელიც ერთი წუთის წინ მზად იყო შუაზე

გაეგლოჯე.

- ოჰ, ფლექტერ, ჩვენ, რა თქმა უნდა, სიძულვილი და ბოროტება არ უნდა გვიყვარდეს! ჩვენ უნდა ვივარჯიშოთ და თითოეულ მათგანში *ნამდვილი თოლია* დავინახოთ, დავინახოთ მასში სიკეთე და დავეხმაროთ, რომ თვითონაც დაინახოს ეს საკუთარ თავში. აი, რას ვგულისხმობ სიყვარულში. კარგია, როცა ამას მარჯვედ აკეთებ.

მაგალითისთვის, გავიხსენებ ერთ მძვინვარე ახალგაზრდა თოლიას, სახელად ფლექტერ ლინდს, გუნდიდან ახლადმოკვეთილს და მასთან სასიკვდილო შეჭიდებისთვის მზადმყოფს, შორეულ კლდეებზე თავისი ცხოვრების მწარე ჯოჯოხეთის მშენებელს... ახლა ის აქ არის, ჯოჯოხეთის ნაცვლად, ზეცას იშენებს და მთელი გუნდი ამ გეზით მოჰყავს.

ფლექტერი ინსტრუქტორისკენ მიბრუნდა და თვალებში შიშმა გაურბინა:

- მე მიმყავს? რას გულისხმობ? აქ ინსტრუქტორი შენ ხარ და შენ ვერსად წახვალ, ამათ ვერ მიატოვებ.
- ვერ წავალ? ნუთუ არ ფიქრობ, რომ არსებობენ სხვა გუნდებიც, სხვა ფლექტერები, რომლებსაც კიდევ უფრო მეტად სჭირდებათ ინსტრუქტორი და რომლებიც ახლა იწყებენ სინათლისაკენ მიმავალი გზის გაკვლევას?
- მე უნდა წავიყვანო გუნდი? ჯონ, მე ერთი უბრალო თოლია ვარ, შენ კი...
- დიდი თოლიას ერთადერთი ვაჟი, არა? - ჯონათანმა ამოიოხრა და ზღვას გახედა, - შენ მე აღარ გჭირდება.

ეგაა, დღიდან დღემდე კიდევ უფრო ღრმად უნდა ეძებო საკუთარი თავი: ნამდვილი და დაუსაზღვრავი თოლია ფლექტერი. ისაა შენი ინსტრუქტორი: უნდა გესმოდეს მისი და პრაქტიკაში ნერგავდე.

ერთი წამის შემდეგ ჯონათანის აციმციმებული, უფრო და უფრო გამჭვირვალე სხეული ჰაერში ალივლივდა:

- არ დაანებო, რომ ჩემს შესახებ ბრიყვული ხმები დაყარონ ან კიდევ ღმერთად შემრაცხონ, კარგი, ფლექტერ? მე ერთი თოლია ვარ და, შესაძლოა, ფრენა მიყვარს...

- **ჯონათან!**

- საბრალო ფლექტერ! არ დაუჯერო, რასაც ახლა შენი თვალები გეუბნებიან: ყველაფერი, რასაც ისინი გიჩვენებენ, დასაზღვრულობაა. გაგებით მოეკიდე, აღმოაჩინე ის, რაც უკვე იცი, და ასე ისწავლი ფრენას.

ციმციმი შეწყდა. თოლია ჯონათანი ჰაერში გაუჩინარდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ თოლია ფლექტერი ჰაერში ასავსავდა და თითქმის შეეფეთა მოწაფეების ახალ ჯგუფს, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაუტარებდნენ პირველ გაკვეთილს.

- უპირველეს ყოვლისა, - თქვა ფლეტჩერმა მძიმედ, - თქვენ უნდა გაიგოთ, რომ თოლია სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების დაუსაზღვრავი იდეა, დიდი თოლიას ხატი და სახე, და რომ მთელი თქვენი სხეული, ერთი ფრთის წვერიდან მეორემდე, მხოლოდ და მხოლოდ თქვენივე აზრია.

ამაზე ახალგაზრდა თოლიებს მზერაში ირონია გაუკრთათ: ეს მაინცდამაინც არ ჰგავს ჰაერში მარყუჟის გასაკეთებელ წესსო.

ფლეტჩერმა ამოიოხრა და განაგრძო:

- ჰმ... ძალიან კარგი... - და ირგვლივ შემოკრებილთ კრიტიკული თვალი მოავლო, - ჰორიზონტალური ფრენით დავიწყეთ.

და როცა ამ სიტყვებს ამბობდა, უეცრად მიხვდა, რომ მისი მეგობარ-ინსტრუქტორი სრულებით არ იყო თვით მასზე უფრო ღვთაებრივი.

„არავითარი საზღვარი, ჯონათან? - ფიქრობდა ფლეტჩერი, - მაშინ არც ისე დიდი დრო დარჩა იქამდე, როცა პირდაპირ ჰაერიდან გავმჟღავნდები შენს ნაპირზე და ერთ-ორ რამეს გიჩვენებ ფრენის ხელოვნებიდან!“

და მიუხედავად თავისი მცდელობისა - მკაცრად დაეჭირა თავი მოწაფეებთან, თოლია ფლეტჩერმა უცებ ისე დაინახა ისინი (სულ ერთი წამით!), როგორებიც სინამდვილეში იყვნენ. და კი არ მოეწონა მხოლოდ, - მან სიყვარული იგრძნო იმის მიმართ, რაც დაინახა.

„მაშ, არავითარი საზღვარი, ჯონათან?“ - გაიფიქრა ფლეტჩერმა და ბაგე ღიმილმა გაუპო. ის უკვე მიჰყვებოდა სწავლის მართონს.